ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი 21.05.2024 წელი

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, კარლო წილოსანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** და განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" მე-XII თავისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილების შესაბამისად. დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად. კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს - სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის 16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ". აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების გასაცემად, რის გამოც წესი გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას. **შოთა ჩაგუნავამ** აგრეთვე აღნიშნა, რომ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" მე-100 მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო არის, შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" 2019 წლის 31 მაისის 255-ე დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ერთ-ერთ სახედ მიჩნეულია დემონტაჟი, რომელზეც ნებართვა გაიცემა. ამავე კოდექსის, 106-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს იმ პროექტებისა და დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნდა შეიცავდეს მუნიციპალიტეტის მერიაში, მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი სანებართვო განაცხადი. აღნიშნული პუნქტის ჩამონათვალიდან ასეთ, ერთ-ერთ აუცილებელ დოკუმენტად მიჩნეულია, . სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი; მისი განმარტებით, თითოეული კლასის ობიექტისათვის უნდა განისაზღვროს შემდეგი მოსაკრებლის ოდენობა: IIკლასი-50 ლარი, III კლასი-200ლარი IVკლასი 400 ლარი.

საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** განაცხადა, რომ მოსაკრებლის ოდენობა იგივე დარჩეს საცხოვრებელი სახლების, ანუ II კლასის შემთხვევაში, ხოლო III და IV კლასებს გაეზარდოთ თანხა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 თებერვლის 232 და 29 მარტის 447 განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოიყო 3 100 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 163158 ლარი, სულ პროექტის მთლიანი ღირებულება (მიმდინარე საფინანსო წელს ასანაზღაურებელი) 3263158 ლარი. ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქ 144-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაციაზე გამოიყო 137202 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 7222 ლარი სულ პროექტის ღირებულება 144424 ლარი. ქ.ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობაზე გამოიყო 806776 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 42462 ლარი, სულ პროექტის ღირებულება (მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი) 849238 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსების უზრუნველყოფისათვის გაიზარდოს ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 212842 ლარით, მათ შორის შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 163158 ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსავალი 49684 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 29 თებერვლის 271 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2400 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოიყო 120000 ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგების (მოსახლეობისათვის ხის მასალის და თუნუქის შეძენისათვის.) სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, თუ რამდენჯერ შეიძლება განხორციელდეს წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილება, რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მემორანდუმის თანახმად, ეს შეიძლება მოხდეს წელიწადში 4-ჯერ.

როლანდ ლაშხიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დროებით შეჩერებულია სპორტული დარბაზის მშენებლობა და აგრეთვე შეჩერებულია ჟორდანიას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაცია.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის წევრმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** დააყენა შემდეგი საკითხები:

1. წმინდა ნინოს ქუჩაზე აუცილებლად მოსაწყობია მოაჯირი.
2. მან მადლობა გადაუხდა მუნიციპალიტეტის მერს და სამუშაოების შემსრულებელ კომპანიას ნათლისმცემლის ქუჩაზე შავი საფარის დაგებისთვის, თუმცა აღნიშნა, რომ პროექტში არსებული ხარვეზის გამო ამ ქუჩაზე არსებული ხიდი საჭიროებს რეაბილიტაციას და 2 ოჯახთან მისასვლელად აუცილებელია შავი საფარის დამატება.
3. სოციალური კომისია უნდა იყოს უფრო ქმედითი. სასურველია მოხდეს მომავალი წლისთვის არსებული პროგრამების გადახედვა და შესაძლებლობის ფარგლებში ახალი პროგრამის შემუშავება.
4. ნინოშვილის ჩიხში გადმოედინება ჭაბურღილის წყალი და შეიძლება ამ რესურსის უკეთ გამოყენება.
5. ნოე ჟორდანიას ბიუსტის მიმდებარე ტერიტორია არის მოსაწყობი.

კომისიის წევრის **ნინო მშვიდობაძის** იდეაა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა მუზეუმი მოექცეს ერთ სივრცეში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ კოლონოსკოპიის გამოკვლევა არ ტარდება ჩვენს რაიონში და მოსაგვარებელია ეს პრობლემა.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** დააყენა საკითხი ჯურუყვეთის საექიმო უბნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ სუფსის სამუსიკო სკოლის იატაკი, რომელიც დიდი ხანია ჩავარდნილია, არის მოსაწესრიგებელი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №6 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 21.05.2024 წ.

2024 წლის 21 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

21.05.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	15:50	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15:58	
4. ლოლიტა ურუშაძე	15 58	
5. კარლო წილოსანი	15 58	
6. ირმა მგელაძე	არ ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
8. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრებოდა	
10. ელისო ჭიჭინაძე	15 50	